

**XIX საუკუნის 80-იანი წლების
სალიტერატურო კრიტიკა
და გიორგი წერეთელი
LITERARY CRITICISM
OF THE 80S OF THE 19TH CENTURY
AND GIORGI TSERETELI**

მანანა ქაჯაია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Manana Kajaia

Georgian Technical University
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

The paper discusses the opinions expressed by Georgian critics from the 1880s regarding various aspects of Giorgi Tsereteli, the great Georgian writer, including his personal life, social impact, and creative style.

On the critical review journey of Giorgi Tsereteli's work, we will tentatively focus on the 1880s. Among the opinions expressed, those of Ekvtime Takaishvili, M. Nasidze ("It's me" - M.K.), St. Chrelashvili, R. Eristavi, Jacob Gogebashvili, Al. Toidze, as well as unsigned articles, stand out. These articles were published in various periodicals.

We will commemorate the memory of Arthur Leist, the distinguished German journalist and translator who extensively researched Georgian literature.

According to Arthur Leist, Petre Umikashvili, Niko Khizanishvili, and Giorgi Tsereteli met at Ilia Chavchavadze's house. Leist characterizes Petre Umikashvili as hardworking, calm, direct, and modest. He notes that Niko Khizanishvili and Giorgi Tsereteli had completely different characters, with both actively participating in literary activities during the eighties."

If we revisit Giorgi Tsereteli's polemical letters, we should concur with Arthur Leist that, unlike Petre Umikashvili, he possessed a truly modest, independent and combative character.

The critics' opinions on Giorgi Tsereteli's creative work align with those that gradually surfaced in the 80s of the 19th century. This alignment is attributed, on one hand, to the heightened vigor of literary criticism and the increased authority of critics, and, on the other hand, to the diverse methods and techniques of critical analysis.

საკვანძო სიტყვები: ქართული მწერლობა, გიორგი წერეთლის შემოქმედება, XIX საუკუნის ქართული სალიტერატურო კრიტიკა.

Keywords: Georgian literature, works of Giorgi Tsereteli, Georgian literary criticism of the 19th century.

გიორგი წერეთელი XIX საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელია. იგი ქართველ მამულიშვილთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე და ქართული საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრება ძირეულად შეცვალეს.

გ. წერეთელი ენერგიულად იღვწოდა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ სარბიელზე და უშუალო მონაწილეობას იღებდა იმდროინდელი ყველა მნიშვნელოვანი, საჭირობოტო პრობლემის დასმასა და გადაწყვეტაში.

გ. წერეთლის მოქალაქეობრივი მრწამსის შინაარსს განსაზღვრავს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ. წერეთელი დიდ ყურადღებას უთმობდა დრამატურგიას. მიუხედავად იმისა, რომ მისი პიესები არ არის განსაკუთრებული ღირებულების, მათ მაინც დიდი როლი შეასრულეს ქართული თეატრის გამდიდრებაში.

„დროებაში“ (დროება 1880: №36-37) ვრცელი სტატია გამოქვეყნდა. სამწუხაროდ, ავტორის ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა.

ავტორი თავდაპირველად დაწვრილებით აცნობს მკითხველს პიესის შინაარსს, რომლის ქარგა, როგორც ვიცით, სამსახურიდან დათხოვილი მოხელის დომენტი გორდელაძის უსიამოვნებაზეა აგებული. დომენტის ქარაფშუტა ვაჟი, გრიგოლი გაფლანგავს სახელმწიფო ხაზინიდან აღებულ ფულს, მას იჭერენ, ხოლო დომენტის უმცროსი ქალიშვილი ეფემია სახლ-კარს აუწერს მამას კუთვნილი მზითვის გატანის მიზნით, ამ საქმეში უფროსი ქალიშვილიც მონაწილეობს. პიესის დასასრულს სამივე შვილი ბოდიშს უხდის უბედურ მამას.

ოჯახური საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვდა გ. წერეთლის სამმოქმედებთან დრამას „ოჯახის ასული“, რომელიც კოტე ყიფიანის საბუნებისოდ დაიდგა 1880 წლის 13 თებერვალს.

კრიტიკოსი პიესაში მაინც ვერ ხედავს დრამის ნიშნებს და ეს ნაწარმოების უმთავრეს ნაკლად მიაჩნია. ვფიქრობთ, რამდენადმე საკამათოა მის მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „მასალა დრამისათვის ამ პიესაში არის და ამ მასალით შეიძლება მართლა რიგიანი დრამის დაწერა, მაგრამ დამწერმა სხვა პირები უნდა გამოიყვანოს სცენაზედ, მათი ხასიათი ბოლომდის უნდა ერთგვარი იყოს და თუ თავში ბოროტია, ბოლომდე ბოროტად უნდა დარჩეს და უეცრად, უმიზეზოთ ანგელოზის ხასიათი არ უნდა გამოაჩინოს“ (დროება 1880: №36). ვფიქრობთ, გმირის „ხასიათის ბოლომდე ერთგვარობა“ დრამატურგის სერიოზულ ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო რაც შეეხება გმირის უეცარ შეცვლას, როგორც ცნობილია, მოულოდნელი მოვლენები სხვადასხვა სახის მხატვრულ ნაწარმოებში ხშირად გმირის, მართლაც, დაუჯერებელი გარდასახვის მიზეზად გვევლინება (მაგ., ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“).

სტატიის ავტორი გ. წერეთლის პიესის მთავარ ღირსებად დომენტი გორდელაძის ვაჟის გრიგოლის სახეს თვლის, რომელიც სცენაზე კარგად შეასრულა კ. მესხმა, თუმცა თავად პიესის სცენები, კრიტიკოსის აზრით, ძალიან ცუდად არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ნაჭრებისაგან გამდელის მიერ შეკერილ „ჭრელ საბანს“ ჰგავს.

კრიტიკოსის თქმით, პიესის სათაურიც კი არ შეესიტყვება მის შინაარსს, რადგან ეფემია სულაც არ ჩაითვლება ტრადიციული ქართული ოჯახის ასულად. ჩვენი აზრით, გ. წერეთელს სწორედ ამ შეუსაბამობის გამო აქვს შერჩეული პიესის სათაური და მასში პიესის გმირისადმი ავტორის ცინიკური დამოკიდებულება გამოსჭვივს. მიუხედავად მისი უარყოფითი განწყობისა, სტატიის დასასრულს იგი მაინც აღნიშნავს, რომ პიესა საზოგადოებამ ძალიან გულთბილად მიიღო და გ. წერეთელი ორჯერ გამოიხმო სცენაზე, თუმცა კრიტიკოსი პიესის წარმატების მიზეზად რეჟისორულ გადაწყვეტას მიიჩნევს.

ჩვენი აზრით, გ. წერეთლის პიესა „ოჯახის ასული“ თავის დროზე ქართული თეატრის რეპერტუარისათვის ნამდვილად მნიშვნელოვანი შენაძენი იყო.

გაზეთ „დროების“ 1882 წლის №221-ში ისევ დაიბეჭდა რეცენზია გ. წერეთლის პიესაზე „ოჯახის ასული“. სტატიის ავტორი უარყოფით შეფასებას აძლევს პიესას და აღნიშნავს, რომ „დროებამ“ ადრეც გამოთქვა აზრი ამ პიესაზე (დროება 1880: №36-37). თუმცა დრამაში, სამწუხაროდ, არაფერი შეიცვალა. იგი, კრიტიკოსის თქმით, უკავშირო სცენებისაგან შედგება და მნახველზე რაღაც უთავბოლო შთაბეჭდილებას ახდენს.

ავტორის თქმით, პიესის გმირები დამახინჯებული სულის ადამიანები არიან, ქალიშვილები ოჯახს უნიავებენ მოხუც მამას, ვაჟი სახელმწიფო ქონებას ფლანგავს, ხოლო ოჯახის დიასახლისი დედა ცდილობს მზითვის მიცემისას სასიძო მოატყუოს. კრიტიკოსი სინანულით აღნიშნავს, „წარმოიდგინე მკითხველო ამდენი სისაძაგლე, მოგროვილი ერთ ოჯახში და ისიც ქართულ ოჯახში“ (დროება 1882: №221).

შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად სტატიის ავტორის უარყოფითი დამოკიდებულებისა, გ. წერეთლის დრამას მაინც გაუკეთებია კეთილი საქმე, რადგან მწერლის მიერ დახატულ გმირებს კრიტიკოსში ანტიპათია გამოუწვევია. ე. ი. პიესას თავისი ძირითადი დანიშნულება შეუსრულებია, საზოგადოებაში გარკვეული განწყობა დაუნერგავს.

ვფიქრობთ, რომ გ. წერეთლის პიესის „ოჯახის ასულთან“ დაკავშირებით გამოქვეყნებული ორივე წერილის ავტორი ერთი და იგივე პიროვნებაა.

გ. წერეთლის პიროვნებას, როგორც მისი თანამედროვეების მოგონებებიდან ჩანს, თავისებური ხიბლი გააჩნდა. ეს არ იყო მხოლოდ პოპულარული მწერლისათვის დამახასიათებელი გარკვეული მიმზიდველობა; უშუალოდ და პირდაპირობით გ. წერეთელი საყოველთაო სიმპათიას იმსახურებდა. ამასთან, როგორც მოგონებებიდან გაირკვა, მასპოლიტიკური სიტუაციის შემდგომი განვითარების განჭვრეტის მშვენიერი ალღო გააჩნდა, რომელიც, ჩვენი აზრით, შესაძლებელია გარკვეულ ობიექტურ ინფორმაციასაც ეყრდნობოდა.

შესანიშნავი ქართველი კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი თავის პატარა მოგონებაში გ. წერეთლის პიროვნებისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის გაგებისათვის, ჩვენი აზრით, საკმაოდ საყურადღებო ფაქტებს გვაწვდის. რადგან ექვ. თაყაიშვილმა გ. წერეთელი, როგორც თავად აღნიშნავს, მწერლის რკინიგზაზე მუშაობის პერიოდში გაიცნო, გ. წერეთელი კი 1883 წელს დაინიშნა რკინიგზის აგენტად, ჩვენ

ექ. თაყაიშვილის მოგონება 30-იანი წლების მასალებში მოვათავსეთ. ვფიქრობთ, მასში კარგად არის ასახული გ. წერეთლის ხასიათი და იმ პერიოდში არსებული განწყობილება.

როგორც მოგონებიდან ირკვევა, ექ. თაყაიშვილის მიერ საქართველოს თავისუფლებასთან დაკავშირებით გამოთქმული პესიმისტური მოსაზრების პასუხად გ. წერეთელს გულმხურვალედ უთქვამს: – „ყმაწვილო! ეგ რა თქვი, ყველა მოსწავლე უნდა განდიდებას მოელოდეს და თავს ამზადებდეს მომავალი საქართველოს თავისუფლებისათვის!“ – მერე ხმამაღლა თქვა: „მე მოვესწრები საქართველოს განთავისუფლებას და შენ ახალგაზრდა მით უმეტეს“ (თაყაიშვილი 1991: 460).

როგორც ვხედავთ, გ. წერეთელს ღრმად სწამდა, რომ საქართველოს გათავისუფლებას მოესწრებოდა და, ამასთან, მიაჩნდა, რომ ყველა მოსწავლეს თავი უნდა მოემზადებინა საქართველოს თავისუფლებისათვის. ვფიქრობთ, აღნიშნულიდან გამომდინარე, უფლება გვაქვს მწერლის შემოქმედების განხილვისას მისი მხატვრული მემკვიდრეობა ახალგაზრდა თაობის, თავისუფალ საქართველოს მომავალ მოქალაქეთა მომზადებისათვის გამიზნულ მასალადაც აღვიქვათ.

ექ. თაყაიშვილის მოგონებაში დიდი ადგილი ეთმობა „კვალის“ დაარსების ისტორიას. მისი თქმით, „კვალი“ ივანე მაჩაბლის, ალექსი ჭიჭინაძისა და თავად ექ. თაყაიშვილის ინიციატივით დაარსდა. საინტერესოა, რომ, როგორც მოგონებიდან ირკვევა, აღნიშნულ პირებს, უპირველეს ყოვლისა, გ. წერეთლის შემოქმედებით ცხოვრებაში ჩაბმა უნდოდათ. ამასთან, მათ ესმოდათ, რომ იმხანად მხოლოდ „ივერიის“ არსებობა ვერ აკმაყოფილებდა საინფორმაციო ვაკუუმს. რადგან ახალი პერიოდული ორგანოს დამაარსებლებს არ გააჩნდათ სათანადო თანხები, ამიტომ გადაწყვიტეს საკვირაო გაზეთის დაარსება. და, მართლაც, ცოტა ხანში დაიწყო გამოსვლა გაზეთმა „კვალმა“, რომლის ფაქტობრივი რედაქტორიცა და გამომცემელიც წლების განმავლობაში გიორგი წერეთელი იყო (ოფიციალური რედაქტორი და გამომცემელი ან. თუმანიშვილი იყო).

ექ. თაყაიშვილის თქმით, გ. წერეთელმა ჩქარა შეცვალა გაზეთის მიმართულება და იგი ფაქტობრივად მესამე დასელების ორგანოდ აქცია. როგორც ექ. თაყაიშვილი გადმოგვცემს, გ. წერეთელმა ასე ახსნა თავისი პოზიცია: „ეხლა ისეთი დრო დადგა, რომ ძველი მიმართულება უნდა უკუვავდოთ. იქიდან მარტო ნაციონალური თავისუფლების მისწრაფება დავიტოვოთ და სხვა სოციალურ-ეკონომიურ საკითხებში მარქსისა და ენგელსის მიმართულებას უნდა დავეყრდნოთ“ (თაყაიშვილი 1991: 460).

ვფიქრობთ, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ გ. წერეთლის ნათქვამში წინასწარმეტყველური გამჭრიახობა გამოსჭვივის. მწერალმა კარგად იგრძნო ახალი დროის მიერ მოტანილი პრობლემების სიმწვავე.

ჩვენი აზრით, საინტერესოა აგრეთვე ექ. თაყაიშვილისეული გ. წერეთლის ზოგადი შეფასება: „გიორგი წერეთელი სხვა ჩვენი მოღვაწეებისაგან იმით გამოირჩეოდა, რომ ჩვენი ძველი მწერლობა იცოდა, ხუცურ ხელნაწერებს კარგად კითხულობდა, ახალი ქართულიც ჩინებულად იცოდა“ (თაყაიშვილი 1991: 460).

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ გ. წერეთელმა XIX საუკუნეში პირველმა გამოთქვა ვარაუდი მხედრული ანბანის ხუცურიდან წარმოშობის თაობაზე.

გიორგი წერეთელი, როგორც ვიცით, ნაყოფიერად თანამშრომლობდა საბავშვო პერიოდულ გამოცემებში. 1884 წლის დასაწყისში ჟურნალ „ნობათის“ №1-ში დაიბეჭდა მისი პოემა-ზღაპარი „ლომ-კაცი“. პოემამ კრიტიკოსთა გარკვეული ყურადღება დაიმსახურა.

„ივერიამ“ 1884 წლის პირველივე ნომერში განიხილა „ნობათში“ დაბეჭდილი სხვადასხვა მასალა და უნდა ითქვას, რომ რეალური შეფასება მისცა გ. წერეთლის პოემას. ავტორის, სტ. ჭრელაშვილის აზრით, თავად ზღაპრის შინაარსი, მართლაც, მშვენიერი და დახვეწილია, მაგრამ, რაც შეეხება პოეტურ მხარეს, იგი საკმაოდ სუსტია. როგორც სტ. ჭრელაშვილი აღნიშნავს, „გ. წერეთელს ნამდვილად შეეძლო უფრო მაღალმხატვრული ნაწარმოების შექმნა“ (ჭრელაშვილი 1884: 106-108).

„ივერიის“ 1884 წლის №4-ში დაიბეჭდა მ. ნასიძის (ფსევდ.: „მე გახლავარ“.) „პედაგოგიური მოსაზრებანი“. სტატიაში იგი გაკვრით ეხება გ. წერეთლის „ლომ-კაცს“ და წერს, რომ „მიუხედავად გ. წერეთლის მწერლური დამსახურებისა, პოემა ძალიან გაჭიანურებულია და პროვინციალიზმებით (კუთხური გამოთქმებით, – მ. ქ.) არის სავსე“ (ნასიძე 1884: 74-78).

„ლომ-კაცის“ გამოქვეყნებას გამოეხმაურა „დროებაც“ (დროება 1884: №7). კრიტიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზღაპრების წერა და ისიც ლექსად ძალიან ძნელია. სწორედ ამიტომ ამბობს ავტორი, რომ თვით პუშკინის ლექსად დაწერილმა ზღაპრებმაც კი კრიტიკოსთა საყვედური დაიმსახურა. წერილის ავტორი თავს იკავებს გ. წერეთლის ზღაპრის შეფასებისაგან, რადგან იმხანად ნაწარმოები მთლიანად არ იყო დაბეჭდილი (სამწუხაროდ, სტატია ხელმოუწერელია).

„დროების“ 1884 წლის №41 რუბრიკაში „ბიბლიოგრაფია“ ისევ ლაპარაკია გ. წერეთლის „ლომ-კაცზე“. როგორც წერილიდან ირკვევა, იგიც „დროების“ №7-ში გამოქვეყნებული წერილის ავტორის მიერ არის დაწერილი, რადგან აღნიშნულია, რომ ზღაპარი „ლომ-კაცი“ ისევ არ არის მთლიანად დაბეჭდილი. ამასთან, „დროების“ №7-ში დაბეჭდილი წერილი ხელმოუწერელია, ხოლო „დროების“ №41-ში გამოქვეყნებული ხელმოწერილია ფსევდონიმით ი.გ. (იაკობ გოგებაშვილი – მ. ქ.) (გოგებაშვილი 1961: 231). ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ჩვენ თავს უფლებას ვაძლევთ „დროების“ 1882 წლის №7-ში დაბეჭდილი წერილის ავტორად ი. გოგებაშვილი მივიჩნიოთ.

XIX საუკუნის 80-იან წლებში გ. წერეთლის მხატვრული შემოქმედების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს ჩვენ დავურთეთ აგრეთვე გამოჩენილი გერმანელი ჟურნალისტისა და მთარგმნელის, ქართული ლიტერატურის მკვლევრის არტურ ლაისტის მოგონებაც, რადგან, როგორც ცნობილია, პირველად იგი 1884 წლის 1 ივლისს ჩამოვიდა საქართველოში. სადგურის ბაქანზე სასურველ სტუმარს ილია და ქართველი მწერლების ერთი ჯგუფი დახვდნია. არტურ ლაისტს დამხვდურთათვის ილიას სიტყვებით მიუმართავს: „სამშობლო საყვარელო, შენ როსლა აყვავდები“ (ლაისტი 1963: 291).

როგორც ჩანს, გერმანელ სტუმარს, რომელიც შემდეგ საქართველოს თავის მეორე სამშობლოდ თვლიდა, გ. წერეთელი სწორედ 1884-1885 წლებში გაუცნია. არტურ ლაისტი წერს: „ილია ჭავჭავაძის სახლში გავიცანი პეტრე უმიკაშვილი, ნიკოლოზ ხიზანიშვილი და გიორგი წერეთელი. ესენი თავისებური ადამიანები იყვნენ“ (ლაისტი 1963: 11). შემდეგ ლაისტი ახასიათებს პეტრე უმიკაშვილს, როგორც შრომისმოყვარე, მშვიდ, პირდაპირ,

მოკრძალებულ ადამიანს და იქვე აღნიშნავს, რომ „სულ სხვაგვარი ხასიათი ჰქონდათ ნიკო ხიზანიშვილსა და გიორგი წერეთელს. ორივე ოთხმოციანი წლების განმავლობაში დიდ მონაწილეობას ღებულობდა ლიტერატურულ საქმიანობაში“ (ლაისტი 1963: 12).

თუ გ. წერეთლის პოლემიკური ხასიათის წერილებს გავიხსენებთ, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ არტურ ლაისტს იმაში, რომ მას, პ. უმიკაშვილისაგან განსხვავებით, მართლაც მოკრძალებული, დამოუკიდებელი და მეზრძოლი ხასიათი ჰქონდა.

გ. წერეთლის შემოქმედების დიდ პოპულარობაზე მეტყველებს ერთი პატარა წერილიც, რომელიც „ივერიაში“ დაიბეჭდა 1886 წელს (თოიძე 1886: 2-3). იგი ალ. თოიძეს ეკუთვნის, საინტერესოა, რომ ავტორი სასტუმროს უბრალო მსახურია და, როგორც წერილიდან ირკვევა, თანამშრომლებთან ერთად რეგულარულად კითხულობს ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს.

მართალია, ალ. თოიძის წერილში, პროფესიონალი კრიტიკოსისაგან განსხვავებით, მხოლოდ სუბიექტური განცდებია გადმოცემული, მაგრამ თავისი უშუალოდ მაინც გარკვეულ ინტერესს იმსახურებს.

ალ. თოიძე პირუთვნელად აღწერს თავისი ახლობლების განცდებს გ. წერეთლის მოთხრობის „საჩინოს“ კითხვისას. სასტუმროს უბრალო მომსახურენი უშუალოდ თანაუგრძნობდნენ მოთხრობის გმირებს. წერილის ავტორის თქმით, მსმენელებს განსაკუთრებით მოეწონათ მოთხრობის მართალი კილო.

საინტერესოა, ჩვენი აზრით, წერილის ავტორის ხელმოწერაც – „სანდრუა ბიჭი“, რაც მის სოციალურ მდგომარეობაზე მიგვანიშნებს.

გ. წერეთლის მრავალმხრივი მოღვაწეობა ყოველთვის იმსახურებდა თანამედროვეთა გულისხმიერ ყურადღებას. ამ ყურადღების ერთ-ერთ გამოვლინებად მიგვაჩნია ჩვენ რ. ერისთავის ვრცელი წერილი „თვალის გადავლება „საუკეთესო ცოდნაზე“, რომელიც „მეურნეში“ დაიბეჭდა (მეურნე 1888: №13, 14, 15). გ. წერეთლის მიერ შედგენილი ბროშურა „საუკეთესო ცოდნა“ 1888 წელს გამოვიდა. დღევანდელ ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, იგი სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ. მართალია, რ. ერისთავის წერილი არ გულისხმობს გ. წერეთლის მხატვრული ნიჭის შეფასებას, მაგრამ იგი ჩვენთვის გარკვეული აზრით მაინც საყურადღებო აღმოჩნდა.

რ. ერისთავი დადებითად აფასებს ბროშურის გამოცემის ფაქტს: „ამგვარი ღვაწლი დიახაც საქებარია და სასურველიც არის, რომ სხვებმა იგულისმოდგინონ და გააცნონ საზოგადოებას გამოკვლევა მეცნიერთა შესახებ პლანეტებისა, ლითონებისა, გეოგრაფიისა და სხვადასხვა“ (მეურნე 1888: №13).

რ. ერისთავი უკმაყოფილებას გამოთქვამს ბროშურის ზოგიერთი ნაკლის გამო და განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას სპეციფიკურ ტერმინებზე. კრიტიკოსის აზრით, სასურველია, რომ არსებული ტერმინები იყოს გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურაში, კერძოდ კი, ის სიტყვები, რომლებიც დადასტურებულია „ლექსიკონებში, მდაბიო ხალხში, საღმრთო წერილში“. მისი აზრით, არ არის საჭირო ახალი სიტყვების გამოგონება ან უცხო სიტყვათა შემოტანა. მას მოჰყავს რამდენიმე მაგალითი გ. წერეთლის მიერ რუსული ენიდან სხვადასხვა სპეციფიკური ტერმინის თარგმნისა და იქვე სთავაზობს მკითხველს, თავისი აზრით, უფრო მისაღებ სიტყვებს.

გ. წერეთლის მიერ გამოყენებული ტერმინები	რ. ერისთავის მიერ შემოთავაზებული ტერმინები
– ატომი	– იოტა, ცახე
– გაზი, ჰაერგვარი	– წვლილი
– გული	– ბურთი, ბუმტი
– კვერცხულა	– ყიტი ბუდე
– მადნეული	– ილეკრო და სხვა.

როგორც ვხედავთ, სწორედ გ. წერეთლის მიერ შერჩეული სიტყვები: ატომი, გაზი, მადნეული – მადანი დამკვიდრდა ქართულ ენაში, ხოლო რ. ერისთავის მიერ შემოთავაზებულ სიტყვებს – იოტა –ცახე, წვლილი, ილეკრო არქაული ელფერი დაჰკრავთ (მეურნე 1888: №13). ვფიქრობთ, ეს ფაქტი გ. წერეთლის კარგ ლექსიკურ ალღოსა და გემოვნებაზე მეტყველებს.

წერილის დასასრულს რ. ერისთავი შენიშნავს: „რაც შეეხება ამ წიგნაკის ენას და კილოს, ჩვენ ამეებით ვეღარ ვსცნობთ ავტორს ამ მოთხრობისას (იგულისხმება „ედიშერ ქელბაქიანი“, „ივერია“, 1887 წ., – მ. ქ.), რომელიც ამას წინათ იბეჭდებოდა „ივერიაში“ (მეურნე 1888: №13). იგი ობიექტურ დასკვნას აკეთებს: „ავტორი მადლობის ღირსია ჩვენის მხრით ამ გვარის საჩუქრისათვის და უფრო დაუმაძღვრებით, თუ რომ შემდეგში ახლანდელ შრომას გააშალაშინებს და სხვასაც ამგვარ თხზულებას შეგვიდგენს ან გადმოგვითარგმნის“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ რ. ერისთავის წერილი არ წარმოადგენს გ. წერეთლის მხატვრული შემოქმედების განხილვას, ის მაინც შეიცავს ჩვენთვის საყურადღებო ორ მომენტს. პირველი ის, რომ ტერმინების შედარებისას აშკარად ჩანს გ. წერეთლის ლექსიკური ინტუიცია და მეორეც – რ. ერისთავი, როგორც ჩანს, გ. წერეთლის მხატვრული ნაწარმოებების ენასა და კილოს სტილს საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდა.

ამრიგად, კრიტიკოსთა დამოკიდებულება გ. წერეთლის შემოქმედებისადმი 70-80-იან წლებში თანდათან გამოკვეთილ სახეს იღებს. ეს განპირობებულია, ერთი მხრივ, ლიტერატურული კრიტიკის ინტენსიურობითა და კრიტიკოსთა რაზმის გამძლავრებით, მეორე მხრივ, თვით კრიტიკული ანალიზის მეთოდებისა და ხერხების მრავალფეროვნებით.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

გოგებაშვილი 1961: გოგებაშვილი ი., ბიბლიოგრაფია. თბილისი, 1961.

ერისთავი 1888: ერისთავი რ., თვალის გადავლება „საუკეთესო ცოდნაზე“, გაზეთი „მეურნე“. თბილისი, 1888.

თაყაიშვილი 1991: თაყაიშვილი ექ., ემიგრანტული ნაშრომები, დაბრუნება, ტ. I. თბილისი, 1991.

თოიძე 1886: თოიძე ალ. (ფსევ.: სანდრუა ბიჭი), წერილი რედაქციის მიმართ (ზ-ნ გიორგი წერეთლის „საჩინოს“ გამო), გაზეთი „ივერია“, №140. 1886.

ლაისტი 1963: ლაისტი ა., საქართველოს გული. თბილისი, 1963.

ნასიძე 1884: ნასიძე გ. (ფსევ.: მე გახლავარ), პედაგოგიური მოსაზრებანი, გაზეთი „ივერია“, №4. 1884.

ჭრელაშვილი 1884: ჭრელაშვილი სტ., ბიბლიოგრაფია. „ივერია“, №1. 1884.

დროება 1880: გაზეთი „დროება“, 1880, №№36, 37.

დროება 1882: გაზეთი „დროება“, 1882, №221.

დროება 1884: გაზეთი „დროება“, 1884, №41.

მეურნე 1888: გაზეთი „მეურნე“, 1888, №№13, 14, 15.